



1448/1-6/22 2 17022022

1448/1-6/22
17-02-2022

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრს ბატონ ზურაბ აზარაშვილს

ბატონო ზურაბ,

გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

- ინფორმაცია, დევნილთა ოჯახების ზუსტი რაოდენობის შესახებ, რომლებიც ამ ეტაპზე ცხოვრობენ თბილისში, თბილისის ზღვასთან, ვანათის ქუჩაზე, სანატორიუმ „ქართლის“ ყოფილი შენობაში.
- ინფორმაცია, ზუსტი უახლოესი ვადის შესახებ, რომელიც განსაზღვრეთ, შემოაღნიშნული სანატორიუმის შენობაში მცხოვრები ოჯახების უსაფრთხო და ადეკვატური საცხოვრისით დაკმაყოფილებისთვის.
- ინფორმაცია, რამდენი ოჯახისთვის, რომლებიც ამ ეტაპზე ცხოვრობენ სანატორიუმ „ქართლის“ ყოფილ შენობაში, გეგმავთ საცხოვრებელი ფართის შექმნას და რა ვადაში.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ლევან იოსელიანი



KA030660547565122

საქართველო, თბილისი 0186, მ. თამარაშვილის ქ.15 ა; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 1505; 15a M.Tamarashvili st., 0186, Tbilisi, Georgia; Hot line: (+995 32) 251 00 26; 1505;

№ 03/4399

28 / თებერვალი / 2022 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ ლევან იოსელიანს

ბატონო ლევან,

თქვენი, 17.02.2022 წლის N 1448/1-6/22 წერილით წარმოდგენილი პუნქტების შესაბამისად გაცნობებთ, რომ:

1. დევნილთა მონაცემთა ელექტრონული ბაზით ქ. თბილისში, თბილისის ზღვის დასახლებაში მდებარე სანატორიუმ „ქართლში“ რეგისტრირებულია (იურიდიული მისამართი) 215 დევნილი ოჯახი (588 დევნილი პირი), თუმცა, სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული აღწერის შედეგად წარმოდგენილი ინფორმაციით, აღნიშნული ობიექტის ფაქტობრივ მაცხოვრებელს წარმოადგენს 140 დევნილი ოჯახი (343 დევნილი პირი);
2. შენობის ტექნიკური მდგომარეობის (მდგრადობის) გაუარესების გამო, სააგენტომ გასცა ადმინისტრაციული დაპირებები აღნიშნულ ობიექტში ფაქტობრივად მცხოვრებ 140 დევნილ ოჯახზე, პირველივე შესაძლებლობისთანავე ალტერნატიული საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის თაობაზე, მათ შორის, საქართველოს მთავრობის 15.09.2021 წლის № 1663 განკარგულების საფუძველზე, ადმინისტრაციული დაპირებები გაიცა იმ 11 დევნილი ოჯახის მიმართაც, რომლებსაც აღნიშნულ ობიექტში არსებული საცხოვრებელი რეგისტრირებული ჰქონდა კერძო საკუთრებაში;
3. სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო, მ/წლის ბოლომდე უზრუნველყოფს თბილისში, თბილისის ზღვის დასახლებაში მდებარე, სანატორიუმ „ქართლში“ ფაქტობრივად მცხოვრებ დევნილ ოჯახებს ალტერნატიული საცხოვრებელი ფართებით, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების გათვალისწინებით. ასევე, ინფორმაციის სახით გაცნობებთ, რომ სააგენტოს მიერ გაცემული ადმინისტრაციული დაპირებების საფუძველზე დევნილ ოჯახთა განსახლების პროცესი დაწყებულია და დღეის მდგომარეობით უკვე განხორციელდა ქ. თბილისში, 26 (ოცდაექვსი) დევნილი ოჯახის საცხოვრებელი უზრუნველყოფა ახალაშენებულ კორპუსებში, ხოლო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის № 01-30/ნ ბრძანების მე-3 მუხლის 22-ე პუნქტის შესაბამისად, 10 (ათი) დევნილი ოჯახისათვის, კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესყიდულ იქნა მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ინდივიდუალურ უძრავ ქონებად რეგისტრირებული ფართი (ბინა), 1 კვადრატული მეტრი 550 აშშ დოლარის ექვივალენტით ლარში. გარდა აღნიშნულისა, სააგენტო იმ დევნილ ოჯახებს, რომლებსაც მიღებული აქვთ ადმინისტრაციული დაპირებები, შესაბამისი ფართის გადაცემამდე, წერილობითი მომართვის საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით აუნაზღაურებს ქირის თანხას.

პატივისცემით,

დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელექტრონულად

ჯაბა სირბილაძე